**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:**

# „იატაკისა და ფილის სამუშაოები“

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა -** მშენებლობის წარმოება - Construction Manufacturing

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა -** 07320-3

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:** საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში / Basic Vocational Qualification in Floor and Tile Works

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია - კოდი 0732. აღმწერი - „შეისწავლის საჯარო (საზოგადოებრივი), კომერციული, ინდუსტრიული და საცხოვრებელი სტრუქტურების (ასევე მათი აღჭურვის) მონტაჟის, აგებისა და ტექნიკური მომსახურების მეცნიერებას, ტექნოლოგიებსა და ტექნიკას/მეთოდებს. სამოქალაქო ინჟინერია შეისწავლის დიდი ზომის შენობა-ნაგებობებისა და სტრუქტურების, მათ შორის სატრანსპორტო სისტემების, წყალმომარაგებისა და არინების და ა.შ. დაგეგმვას, პროექტირებას, ტესტირებასა და მშენებლობის ხელმძღვანელობას“.

**მიზანი -** პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს მშენებლობის სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება იატაკისა და ფილის სამუშაოების წარმოების მიმართულებით.

**დაშვების წინაპირობა -**საბაზო განათლება

**დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - „იატაკისა და ფილის სამუშაოებში“** საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შეიძლება დასაქმდეს სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე ღია ან/და დახურულ სივრცესა და სიმაღლეზე. ის შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარემონტო და დიზაინერულ კომპანიებში, სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებული იქნება შენობა-ნაგებობის მშენებლობასა ან მის რეკონსტრუქცია-გაძლიერებასთან. მას სამუშაოების შესრულება მოუწევს სხვადასხვა კლიმატის პირობებში. დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს: სხვადასხვა სახის იატაკის მომწყობი; მომპირკეთებელი; ფილის დამგები; სამუშაო რგოლის უფროსი; ბრიგადის უფროსი.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 43
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7122

**სტრუქტურა და მოდულები**

პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ მოიცავს 7 სავალდებულო ზოგად მოდულს ჯამურად 19 კრედიტის რაოდენობით, 3 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამურად 5 კრედიტის ოდენობით და 9 სავალდებულო საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის - იატაკისა და ფილის სამუშაოების პროფესიულ მოდულს ჯამური **59** კრედიტის ოდენობით. იატაკისა და ფილის სამუშაოებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს **83** კრედიტი.

პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს „გაცნობითი პრაქტიკის“ სახით. გაცნობითი პრაქტიკის მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა სამშენებლო სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლების შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 83 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 60 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქათულენოვანი სტუდენტებისთვის - 98 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქაუთლენოვანი სტუდენტებისთვის - 70 კვირა.

| № | ზოგადი მოდულები | კრედიტი |
|---|---|---|
| 1. | ინფორმაციული წიგნიერება 1 | 3 |
| 2. | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | 3 |
| 3. | რაოდენობრივი წიგნიერება | 2 |
| 4. | სამოქალაქო  განათლება | 3 |
| 5. | მეწარმეობა 1 | 2 |
| 6. | უცხოური ენა | 4 |
| 7. | გარემოსდაცვითი საფუძვლები | 2 |
| | **ჯამი:** | **19** |
| **№** | **საერთო პროფესიული მოდულები** | **კრედიტი** |
| 1. | გაცნობითი პრაქტიკა მშენებლობის წარმოებაში | 1 |
| 2. | მშენებლობის საფუძვლები | 1 |
| 3. | სამშენებლო ნახაზების კითხვა | 3 |
| | **ჯამი:** | **5** |
| **№** | **საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია  იატაკისა და ფილის  სამუშაოები  - მოდულები** | **კრედიტი** |
| 1. | ვინილის ტიპის და რბილი იატაკის ზედაპირის მოჭიმვა | 5 |
| 2. | ბეტონისა და პოლიმერული სამრეწველო იატაკის მოჭიმვა | 8 |
| 3. | სხვადასხვა სახის იატაკის დაგება (ლამინირებული, ხის) | 8 |
| 4. | ფილის დამუშავება | 4 |
| 5. | კედლის და იატაკის მომზადება ფილებით მოპირკეთებისათვის | 6 |
| 6. | კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით | 8 |
| 7. | ზედაპირის მოპირკეთება მოზაიკური ფილებით | 6 |
| 8. | მეტლახის და  გრანიტის იატაკის დაგება | 8 |
| 9. | ხის იატაკის მოწყობა | 6 |
| | **ჯამი:** | **59** |
| | **სულ:** | **83** |

**მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს  შეუძლია:

***სწავლის შედეგები - იატაკისა და ფილის სამუშაოების შემსრულებლის მიმართულებით***

1. მოამზადოს იატაკი და კედელი მოსაპირკეთებლად

2. დაახარისხოს  ფილები სხვადასხვა ფორმებად
3. დაჭრას ფილები სხვადასხვა ფორმებად
4. მოამზადოს დუღაბი და წებო-ცემენტის ნაზავი  ფილებისა და მოზაიკური ფილების დასაგებად
5. დააგოს მეტლახის, გრანიტის, ვინილის ტიპის, რბილი და სხვადასხვა ზედაპირის იატაკი
6. განახორციელოს ბეტონისა და პოლიმერული სამრეწველო იატაკის მოჭიმვა
7. დაამუშაოს  გამშრალი დუღაბის და ქვიშა-ცემენტის ხსნარით დამზადებული იატაკი
8. მოაწყოს ფილისქვეშა ჰიდროიზოლაცია

მოაწყოს  იატაკი ხის მასალისგან უსაფრთხოების ნორმების დაცვით